წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა კომისიის

სხდომის ოქმი №2

2022 წლის 25 მაისის გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რაისა ჩანგელია. ესწრებოდნენ კომისიის შემდეგი წევრები: ომარ ქარდავა, ნანა ქობალია, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, მანანა ჭანია,საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი დარსალია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სპეციალისტი თამარ მეგონია და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სპეციალისტი გურამ შენგელია. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თეა სარია.

დაწყების დრო: 12:00-სთ.

დასრულების დრო: 12:30-სთ

დღის წესრიგი:

1. თირკმლის დიალიზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფილს პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ რაისა ჩანგელიამ კომისიის აღნიშნა, რომ რამდენიმე დღეა კომისიაში მიმდინარეობს კონსულტაციები თირკმლის დიალიზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრინველყოფის პროგრამაში ცვლილების განხორციელების თაობაზე. კომისიას მიაჩნია, რომ ამ პროგრამის ბენეფიციართა დაფინანსება 100 ლარის ოდენობით არის ძალიან მწირი, იმდენად რამდენადაც ამ პროგრამით მოსაგებლე პირებს კვირაში რამდენჯერმე უწევთ ზუგდიდში გამგზავრება, რათა მიიღონ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამდიცინო მომსახურეობა. გათვალისწინებით ამისა, თითოეული პირის დაფინანსება უნდა გაიზარდოს 50 ლარით და ბენეფიციარებმა უნდა მიიღონ წალენჯიხის ბიუჯეტიდან დახმარება თვეში 150 ლარის ოდენობით. საკრებულოს კომისიას უნდა მიემართა მერიისთვის ამ საკითხის განხილვის თაობაზე, თუმცა მუნიციპალიტეტის მერიამ დღეს დაარეგისტრირა საკრებულოს კანცელარიაში იგივე ცვლილების პროექტი, დიალიზზე მყოფი პირების დახმარების 150 ლარამდე გაზრდის თაობაზე. გათვალისწინებით იმისა, რომ სოციალური დახმარების პროგრამებში ცვლილება, პირველ რიგში, უნდა განხორციელდეს 2022 წლის ბიუჯეტში და შემდგომ დადგენილებაში, მერიამ დადგენილების საკრებულოს სხდომაზე გატანამდე უნდა წარმოადგინოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილება. კომისიის თავმჯდომარის წინადადებას ერთხმად დაუჭირეს მხარი კომისიის წევრებმა. საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის წევრმა გონერ კვარაცხელიამ კომისიის წევრებს გააცნო ინიციატივა, მომავალ სხდომაზე მოხდეს ფსიქიკურ ავადმყოფთა ფსიქოტროპული მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ანალიზურად შემუშავება. იმ პირებს, რომლებსაც შარშან უწევდნენ დახმარებას, მიმდინარე წელსაც მოხდეს მათი დაფინანსება შესაძლებლობის ფარგლებში , განსაკუთრებით მძიმე პაციენტებისათვის, მათ ვისაც მედიკამენტოზური მკურნალობა სჭირდებათ. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ფსიქიკურ ავადმყოფთა ფსიქოტროპული მედიკამანტებით უზრუნველყოფის პროგრამით დაფინანსება თვეზე მეტია არ ხორცილდება. მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, პროგრამის შეჩერება განპირობებულია იმით, რომ ფსიქონარკოლოგიურმა დისპანსერმა უარი განაცხადა მონაცემების გაცემაზე. აღნიშნულით მნიშვნელოვნად ზარალდება ამ კატეგორიის ავადმყოფები და მათი ოჯახები. მუნიციპალიტეტის მერიამ დაუყოვნებლივ უნდა შეიმუშავოს მექანიზმი პროგრამის აღდგენისთვის ან შესაბამისი ცვლილებით განახორციელოს ამ პროგრამის ბენეფიციართა ჩართვა სხვა პროგრამაში. სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები ამ ინციატივას ერთხმად დაეთანხმნენ.

კომისიის წევრებმა ომარ ქარდავამ და დათო მესხიამ განმარტეს, რომ აუცილებელია ერთჯერადი დახმარების პროგრამის გადახედვა და დახვეწა. სოფლებზე განაწილებული თანხები მინიმალურია და პროგრამაში ჩართვის მოთხოვნა კი-გაცილებით მეტი. დებულებით არ არის განსაზღვრული კრიტერიუმები და ამ პროგრამაში ჩასართავად პირის შერჩევა პრობლემურია. მერიის სოციალურმა კომისია, რომელიც უწევს ადმინისტირებას

პროგრამებით გათვალისწინებული თანხების განაწილებას, უნდა დაინტერესდეს ამ საკითხით და შეიმუშავოს პროგრამით მოსარგებლეთა კრიტერიუმები.

ამით საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა დასრულდა 12[30] სთ-ზე.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე /რაისა ჩანგელია/